ნოდარ შენგელია

სელჩუკებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა XI-XIII სს.

XI საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება სელჩუკთა ძალების გამოჩენა ამიერკავკასიის ქვეყნებში. გამოჩნდა პირველი მარბიელი ხასიათის ლაშქარი, რომელიც დასავლეთის მიმართულებით დაზვერვითი ხასიათის ლაშქრობებს აწარმოებდა. წყაროების მიხედვით, სელჩუკთა პირველი ლაშქრობა ამიერკავკასიაში 1034 წლებშია სავარაუდებელი.[1]

სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიასთან ერთად მონაწილეობდნენ სომეხ-ქართველთა გაერთიანებული ძალები. ამ მხრივ საყურადღებოა ლიპარიტ ერისთავის მონაწილეობა სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებულ ომში, სადაც იგი ტყვედ ჩავარდა. მან დიდი პოლიტიკური როლი შეასრულა როგორც საქართველოს საშინაო საკითხებში, ისე მისი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისითაც მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით.[2] ლიპარიტი ძალიან გავლენიანი პირი იყო როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ლიპარიტ ერისთავს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თოღრულ ბეგთან და ბიზანტიის იმპერატორთან. ამასთანავე იგი ზრდიდა ბაგრატის პირმშოს გიორგისაც. წყაროში ნათქვამია: ლიპარიტი იყო მოყუარედ მისი ხურასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთის ბერძენთა მეფე და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა".[3]

წყაროების მონაცემებით, თოღრულ ბეგს ულაშქრია საქართველოში 1053 წელს. მანამდე ცალკეული უფლისწულების მიერ სომხეთსა და

---

[1] С. Г. Агаджанов и К. Н. Юзбашян, К истории тюркских набегов на Армению в XI в., "Палестинский сборник", вып. 13/76/ М., 1965.

I. Kafesoğlu, Dogu Anadolu ilk Selçuklu Akini (1015-1021) ve Tarihi Ehemiyeti. 60 dogum yili münasebetiyle Fuad köprülü Armagan. Istanbul, 1953. M. Asköymen, Büyük Selçuklu Imparatoru Meliksah Devrinde dair bir eser münasebetiyle. Belleten. Ankara, 1953. Cilt XVII, sayl 68.

CL. Cahen, A propos de quelques articles du Köprülü Armagani. Journal Asiatique, t. CCXLII. 1954.

[2] I. Kafesoglu, Selçukun ogullri ve torunlari, Türkiyat Mecmuasi. cilt XIII. Istanbul. 1958.

[3] მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 304.

აზერბაიჯანში ლაშქრობის დროს სამხრეთ საქართველოში სელჩუკები არაერთგზის გამოჩენილან.[4]

ბაგრატ IV იძულებული გახდა, ზავი შეეთავაზებინა სულთნისათვის, რომელიც ხარაჯის გადახდას და საქართველოს მეფის დისწულს ითხოვდა ცოლად. ბაგრატი მზად იყო, გარკვეულ კომპრომისებზე წასულიყო, დამოყვრებოდა სულთანს და მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ალფ-არსლანს ჩაეშალა გეგმები, მისი დიპლომატიური სვლა – დამოყვრებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას, არ გამოვიდა. „და მოუვლინა ახალქალაქით მოციქული სულტანმან ბაგრატ მეფესა, აჰკიდა მზახობა და სთხოვა დისწული ცოლად. და მიიქცა სულტანი ანისად..."[5] იგი იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კვირიკესი. სთხოვა ბაგრატ და არა მოსცა სომეხთა მეფემან. მიგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი"[6], ქართველთა მოციქულებმა შეიპყრეს სომეხთა მეფე და აუწყეს ბაგრატ მეფესა".

ალფ-არსლანის ასეთი ურთიერთობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი 1068 წელს დიდი ლაშქრით ისევ შემოესია საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებს. აღსართან კახთა მეფე იყო ერთადერთი მთელს საქართველოში, რომელმაც სჯული დაუტევა და მიიქცა ისლამზე, აღუთქუა ხარაჯა და სამსახური შესთავაზა. სომეხთა მეფე კვირიკე და თბილისის ამირა მას შეუერთდნენ. „ხოლო აღსართან მიერთო სულტანსა. მიუძღუანა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცვითა წინა, აღუთქუა ხარაჯა. და მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვე. და რომელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს. და რომელნი თვით აღსართანისთა, მისცნა ყოველნი"[7]. საქართველოში ლაშქრობის დროს გაერთგულებულ გამგებლებს აძლევდა დაკავებულ ტერიტორიებს. კახთა მეფე აღსართანი, სჯულგამოცვლილი და სულთნისადმი მინდობილი, ერთგულად მსახურებდა მას.

სულთანი თანახმა იყო ბაგრატის მიერ შემოთავაზებულ ზავზე ხარაჯის გადახდის პირობით. სულთანს სურდა, საქართველო თავის მოხარკედ

---

[4] Türkiye Tarihi Selçuklular Devri. Mükrimin Halil Yinanç. Istanbul üniversitesi Ortaçag Tarihi Profesörü. Istanbul. 1944.

M. A. Köymen, Selçuklu Devri Türk Tfrihi. Ankara. 1963.

V. Minorsky, Studies in Caucasian History, the oriental series of the University of Cambridge, vol VI. 1953.

Cl. Cahen, Le première penetration turque en Asie - Mineure (Seconde Moitié du XIe S). "Byzantion". T.XVIII. (1946-1947), 1948.

[5] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 308.

[6] იქვე, გვ.

[7] იქვე, გვ. 309.

და ყმად გაეხადა, მაგრამ ეს ხელს არ აძლევდა ბაგრატს. ალფ-არსლანი ისე წავიდა საქართველოდან, რომ ბაგრატ IV-ისაგან გარკვეული პასუხი არ მიუღია შემოთავაზებულ პირობაზე. საქართველოს სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა სელჩუკთა ხელისუფლებასთან[8].

ალფ-არსლანს სურდა, ამჯერადაც საქართველოს სახით ჰყოლოდა მოხარკე ქვეყანა, რაც არ ინება ბაგრატმა. დიპლომატიური ურთიერთობა, რომელსაც ითხოვდა ალფ-არსლანი, არ მიიღო ბაგრატ მეფემ. იგი მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ითხოვდა დიპლომატიურ კავშირებს სელჩუკთა სახელმწიფოს მეთაურთან.

ამის შემდგომაც ბაგრატსა და ალფ-არსლანს შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. მათ შორის იყო სიტყვით სიყვარული, ერთმანეთს უგზავნიდნენ ძღვენსა და მოციქულებს, მაგრამ მეფემ არ მისცა ხარაჯა, მემატიანის თქმით: „და შემდგომად ამისსა არებდა სულტანი მოციქულთა, და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა, ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა, ხოლო არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა, არამედ ავლენდა იგიცა მოციქულთა, და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყუარული".[9]

ამრიგად, ბაგრატ მეფემ სულთანს არ მისცა ხარაჯა და არავითარი ვალდებულება არ იკისრა მის წინაშე, ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობისაგან თავისუფალი იყო ქართველთა მეფე, სულ სხვა ვითარება იყო გიორგი II-ის დროს. გიორგი II-ისა და სულთან მალიქ-შაჰს შორის სხვა დიპლომატიური კავშირები დამყარდა. გიორგი მეფე ვალდებული იყო, დიდი ხნის განმავლობაში ეხადა ხარაჯა, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში იხდიდა დავით აღმაშენებელიც.

საქართველოს მეფე ცდილობდა, გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონოდა სელჩუკ სულთანთან, იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო, მასთან ხარაჯა ეკისრა. სულთანიცა და მეფეც ერთდროულად გარდაიცვალნენ ისე, რომ „ვერღარა ცნეს ერთმანეთისა სიკვდილი". საქართველოს მეფეს ქედი არ მოუხრია სულთნის წინაშე.

---

[8] გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე", 1966, №1. გვ. 239-262.

Sadruddin Ebul Hasan Ali ibn Nasir ibn Ali el Hüseyni, Ahbar üd-Devlet is Selçukilye. Pencap üniversitesi Farsça pröfesörü Muhammed Ikbain 1933 -de Lahorda Nesrttigi Metinden Tercume eden Necaci Lügal. Ankara. 1943.

Anadolu Selçuklulari Devleti Tarihi. III. Ankara. 1952.

[9] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 314.

ამიერკავკასიიდან ალფ-არსლანის წასვლის შემდეგ სელჩუკთა ცალკეული ჯგუფები სისტემატურად ესხმოდნენ თავს ანატოლიის სხვადასხვა პროვინციას. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის გვერდით არსებობას იწყებდა თურქული ეთნიკური ელემენტი.

მანასკერტთან სელჩუკთა გამარჯვებას უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთათვის. ამიერიდან კულტურული ბიზანტიის ნაცვლად უმეზობლდებოდნენ მეჯოგე სელჩუკიან თურქთა ტომები. თურქთა დამეზობლებისა და თურქული ეთნიკური ელემენტის მომძლავრების შედეგად ხშირდებოდა საქართველოზე თავდასხმები. იკვეცებოდა ქართული ფეოდალური მეურნეობა, ფერხდებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. საქართველოში „დიდი თურქობისათვის" იქმნებოდა პირობები.[10]

70-იანი წლებისათვის ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნა ერთგვარი შეჯამება იყო მათ მიერ წარმოებული დაპყრობითი ომებისა. ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნით ძირითადად მთავრდებოდა მცირე აზიის დაპყრობა და, საერთოდ, თურქული ეთნიკური ელემენტის გაბატონება, რასაც უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის.

---

[10] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", თბ., 1954, №6, გვ. 123-124.

ივ. მაჭავარიანი, არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, „მოამბე", თბ., 1898, №1.

Материалы по истории туркмен и Туркмении, т. I, VI-XV вв. Арабские и персидские источники, под редакцией С.Л. Волина. А.А. Ромаскевича и А.Ю. Якубовского. М/Л. 1939.

В. Розен. Арабские сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом. I. Ибн ал-Асир. Записки Восточного отделения императорского русского археологического общества, т. I, вып. I. 1887. Спб., стр. 19-22.

В. Розен. Арабские сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом, II, Имад эд-дин Исфаганский. "Записки Восточного отделения императорского русского археологического общества, III. 1887. Спб.

В. Розен, Арабские сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом, III, Садр эд-дин ал-Хусейни, Записки Восточного отделения императорского русского археологического общества, т. I, вып. IV Спб. 1887.

T. Yilmaz öztuna Türkiy Tarihi 2 il Selçuktal ve Anadolu Beylik lcru, 1964.

Mflfzgirt zaferu ve ko-arskab (26 Agystis 1071), Makazgurt zaferubub yukdönümü münasebetiyle yayinlanmistir. ikinci Basilis. Istanbul. 1971.

მელიქ-შაჰის სულთნობის წლებში სელჩუკებმა თითქმის მთელი საქართველოს დალაშქვრა მოახერხეს. დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობის" ხანა საქართველოში. თუ აქამდე სელჩუკები საქართველოს რომელიმე კუთხის აოხრებით კმაყოფილდებოდნენ, ამჯერად ისინი თითქმის მთელი ნახევარი წლის განმავლობაში აოხრებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს.

მეფე გიორგი II იძულებული იყო, ქვეყნის საბოლოო განადგურების თავიდან ასაცილებლად წასულიყო ისპაჰანს მელიქ-შაჰთან და „შეწყალება" ეთხოვა: მის სანაცვლოდ კი ხარაჯის გადახდას კისრულობდა. გიორგი მეფის მიერ ხარაჯის გადახდის პირობა ერთადერთი გამოსავალი იყო ქვეყნის ფიზიკური მოსპობისაგან გადასარჩენად. ამავე დროს, ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. გიორგი II ...„წარვიდა ასპანს, ნახა სულტანი და შეწყალებულ იქმნა მისგან ვითარცა შვილი საყუარელი... სამეფო მისი განათავისუფლა ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ჟამსა მრავალსა... არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოხრდა მუნ დღეინდელად დღემდე. ხოლო თვით გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად".[11]

ამრიგად, მართალია, გიორგი II-მ იკისრა ხარაჯა. მიიღო ყოველი დავალება სულთნისაგან, მაგრამ თავად აჯამეთს წავიდა სანადიროდ. ხარაჯას კისრება სრულებითაც არ ნიშნავდა ვალდებულების ერთგულად შესრულებას. რამეთუ უძლური იყო საქართველოს მეფე, იგი გაეცალა ყოველგვარ პოლიტიკურ პერიპეტიებს. ყოველივე, რაც გიორგიმ მოიმოქმედა, იძულებითი იყო.

ქვეყნად შექმნილი მძიმე ვითარება მოითხოვდა შინაგანი ძალების სრულ მობილიზაციას როგორც გარეშე მტრების, ისე შინაური ურჩი ფეოდალების ასალაგმავად. ახლად წარმოქმნილ ქართულ ფეოდალურ მონარქიას მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება სჭირდებოდა.[12]

---

[11] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 321-322.

[12] M. H. Yinanç, Türkiye Tarihi Selçuklular Devri. I, Anadolunun Fethi. 1944. Istanbul.

M. A. Köymen, Selçuklu devri Türk Tarihi. Ankra, 1963.

I. Kafesoglu, Sultan Meliksah Devrinde Büyük Selçuklu Imparator-lugu. Istanbul. 1953.

Selçuklular Tarihi ve Türk-Islam Medeniyeti. Prof. Osman Turan. Ankara, 1965.

A. Sevim, Malazgirt Meydan Savasi, Ankara, 1971.

S. Eyice, Malazgirt Savasini Kaydeden IV Romanos Diogenes. Ankara. 1971.

ალსართან კახთა მეფემ იგივე გაიმეორა, რაც ალფ-არსლანის დროს: ეახლა სულთანს, კვლავ მიიღო მუსლიმანობა და ამით დაიბრუნა კახეთი. „მათ ჟამთა კახთა მეფე ალსართან წარვიდა მალიქ-შას წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულს და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი".[13] მაგრამ კახეთი მალე დავით აღმაშენებელმა აიღო და დაიწყო გამუდმებული თავდასხმები საქართველოსათვის ჯერ კიდევ შემოუერთებელი პუნქტებისა.

„დიდი თურქობის" შედეგები მეტად მძიმე იყო საქართველოსათვის. მომთაბარულ-მეჯოგური მეურნეობა, რომელსაც თურქ-სელჩუკები ნერგავდნენ საქართველოში, განვითარებულ ქართულ ფეოდალურ ინტენსიურ მეურნეობას ანადგურებდა. „დიდმა თურქობამ" არა მარტო ქვეყნის ერთიანობა დააზიანა, არამედ შექმნა რეალური პირობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წყობის სრული მოშლისა და გადაშენებისა.[14] „ფეოდალური ეკონომიკის განვითარებამ დღის წესრიგში ჯერ ქართული მიწა-წყლის შემოკრება-შემოერთების საკითხი დააყენა, ხოლო პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, მეზობელი „სახლების" (დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების) შეერთების საკითხიც უშუალოდ თუ „ყმადანაფიცობის" საფუძველზე".[15]

დავით აღმაშენებლის ანდერძის მიხედვით, ამ დროს საქართველოს საზღვრები „ნიკოფსითგან დარუბანდის ზღუადმდე და ოვსეთითგან არეგაწადმდე აღწევდა".[16] ქართველთა ლაშქრის მიერ დაკავებულ ქვეყნებს

Feridun Dirimtekin, Selçuklularin Anaduluda yerlesmelerini ve gelismelerini saglayan iki zafer. I, Malazgirt Meydan savasi. Malazgirt Armagani. 1972.

Nejat Kaymaz, Malazgirt savasi ile Anadolunin fethi ve Türklesmesine dair. Malazgirt Armagani, Ankara, 1972.

Ali Sevim, malazgirt Meydan Savasi ve Soviçlari. Malazgirt Armagani. Ankara. 1972.

CL. Cahen, le premiere penetration turque en Asie - Mineure (Seconde Moitié Du XI s). "Byzantion" t. XVIII (1946-1947). 1948.

[13] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 322.

[14] ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968. ქართლის ცხოვრება, წ. I, თბ., 1955.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II.

Osman Turan, Selçuklular Tarihi ve Türk-Islam Medeniyeti. Ankara, 1965.

I. Laurent, Bizance et les origines du Sultanat de Rum. Etudes sur L'Histoire et sur L'art de Byzance, Melanges Charles Diehe. Premier Volume. Histoire, Paris. 1930.

[15] ვ. გაბაშვილი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 121, თბ., 1967, გვ. 203.

[16] დავითის ანდერძი: საბინინი, საქართველოს სამოთხე, თბ., 1882, გვ. 513.

დავით აღმაშენებელი პირდაპირ უერთებდა თავის სამეფოს. ამ მხრივ დავით აღმაშენებელს საკუთარი მტკიცე საგარეო პოლიტიკური კურსი ჰქონდა აღებული.

ჩანს, დავით აღმაშენებელი ყმადნაფიცობის საფუძველზე არ ტოვებდა დაპყრობილ ქვეყნებს, პირდაპირ უერთებდა მათ საქართველოს. მან არაერთი „სახლი შერლო" თავის „სახლს". იგი ქვეყნებს უშუალო სამეფოდ იპყრობდა.

„დავითმა დაიპყრო ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორის სამეფო, ანისის სამეფო, შირვანის სამეფო და ყველგან თავისი მოხელეები დასხნა".[17] მიუხედავად იმისა, რომ დავითმა არაერთი სამეფო შემოუერთა უშუალოდ საქართველოს და ამით ქვეყნის საზღვრები დიდად გააფართოვა, მისი მემკვიდრენი ამგვარი პოლიტიკური ღონისძიების გამგრძელებლები ველარ აღმოჩნდნენ.

დავით აღმაშენებელის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ გიორგი III იყო დავითის საგარეო პოლიტიკური კურსის შედარებით აქტიური მიმდევარი. მან მაჰმადიან გამგებლებთან დიდი ბრძოლის შემდეგ მოახერხა ანისის საქართველოსათვის უშუალოდ შემოერთება. ასევე შემოიერთა მან დვინიც. მაგრამ იგი იძულებული გახდა, დავით აღმაშენებლის დროს შემოერთებული შირვანის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ეცნო. ჩანს, ყმადნაფიცობის პრინციპი, რომელსაც სასტიკად ებრძოდა დავით აღმაშენებელი, თანდათან ღრმად იკიდებდა ფეხს და თამარის მეფობის წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად ნიშან-თვისებადაც იქცა.

ევროპაში დაწყებულმა ჯვაროსანთა ლაშქრობებმა ხელი შეუწყო საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესებას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.[18] „ჯვაროსნებს საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა, სურდათ გამოეყენებინათ თურქების წინააღმდეგ. საქართ-

---

[17] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II, თბ., 1965, გვ. 40.

[18] საქართველოს ბიზანტიასთან, ჯვაროსსნებთან და ეგვიპტესთან ურთიერთობის ისტორიის შესახებ იხ. ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.). XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები შ. მესხიას რედაქციით, თბ., 1968.

ვ. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე). XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები შ. მესხიას რედაქციით, თბ., 1968.

შ. ბადრიძე, ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები შ. მესხიას რედაქციით. თბ., 1968.

ველოსა და მის მეფეს კი ჯვაროსნების ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მდგომარეობას უმსუბუქებდა და დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა".[19] ასეთმა ვითარებამ ხელი შეუწყო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის წარმატებებს.

დავით აღმაშენებელმა, ქვეყნის მთლიანობისა და სიძლიერის აღდგენა-განმტკიცების მიზნით, დიდგვარიან ფეოდალებს გამოუცხადა ბრძოლა, ისინი არაერთგზის განუდგნენ დავითს, არაერთხელ „აუშალეს ქვეყანა" დავითმა კლდეკარის საერისთავო გააუქმა.

მან არაერთი რეფორმა ჩაატარა ქვეყანაში, საგულისხმოა საეკლესიო, ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაცია, მსტოვართა აპარატის შექმნა. ასეთი თვითმპყრობელური რეჟიმის შექმნით ფიქრობდა დავით აღმაშენებელი ფეოდალური ქაოსისათვის ბოლო მოეღო. ქვეყანაში ერთგვარი წესრიგი დაემყარებინა. ეს კი მეფესა და მის დასს მომავალ გამარჯვებათა საწინდრად მიაჩნდათ.

1105 წლის ერწუხის ომმა საბოლოოდ შემოიერთა კახეთი. ამის შემდეგ საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ შემოიერთა სამშვილდე, ქვემო ქართლის ციხეების დიდი ნაწილი — ქალაქი რუსთავი, ციხეები: გიში, ლორე და აგარანი.

დიდგორში ქართველთა გამარჯვების შემდეგ სულთანმა, როდესაც აიღო შემახია, საქართველოს მეფეს — დავითს მოსწერა: „შენ ტყვეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა: ხოლო მე ესე რა შარვანშმა შევიპყარ ხელთა და ხარაჯასა ვითხოვ, შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოაგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე. ხოლო ესმა რა ესე მეფესა... ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისა და წარემართა სულტანსა ზედა".[20] დავითმა როგორც კი მიიღო ასეთი უხამსი შინაარსის წერილი, მაშინვე აღიკაზმა მომხდურის წინააღმდეგ, მალე საკადრისიც მიუზღო მტერს.

დიდგორის ველზე თუროების დამარცხებამ არა მარტო საქართველო, არამედ არსებითად მთელი ამიერკავკასია იხსნა მომთაბარული, ექსტენსიური მეურნეობისა და საამისო პრიმიტიული სოციალურ-სახელმწიფოებრივი წყობის გაბატონებისაგან.

დავითის საგარეო პოლიტიკის, მისი დიპლომატიის ძირითად მიზანს თვითვე განმარტავს სახელოვანი მეფე: „სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობლად... შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და

---

[19] შოთა მესხია, შოთა რუსთაველის ეპოქა (საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება XII საუკუნეში), თბილისის უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველს, თბ., 1966, გვ. 12.

[20] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 343.

უუძლურესთა მოვხვეჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა".[21] დავითის ამგვარ საგარეო პოლიტიკას გამგრძელებელი აღარ აღმოაჩნდა XII საუკუნის II მეოთხედიდან.

მთელი XII საუკუნის მანძილზე მხოლოდ გიორგი III იყო დავითის საგარეო კურსის აქტიური მიმდევარი, მაგრამ ვერც მან შეძლო ბოლომდე დავით აღმაშენებლობა. იგი იძულებული გახდა, დავითის მიერ საქართველოსათვის უშუალოდ შემოერთებული შირვანის უდიდესი ნაწილი ისევე დამოუკიდებელ ერთეულად აღედგინა და ყმადნაფიცობის პირობით საქართველოსათვის დაექვემდებარებინა. ყმადნაფიცობას თანდათანობით კვლავ ეხსნებოდა გზა თამარის დროიდან (1178-1213).[22]

ამრიგად, დავითის საგარეო პოლიტიკური კურსი იყო მეზობელი ქვეყნების უშუალო შემოერთება. იგი ამიერკავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა, ხოლო მომდევნო ხანის მეფეებმა სრულიად შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სელჩუკებისადმი. ერთადერთი იყო მხოლოდ გიორგი III, რომელმაც სცადა თავისი დიდი წინაპრის გეგმის რეალიზაცია, მაგრამ ამაოდ.

თამარის დროს რადიკალურად იცვლება დიპლომატიური ურთიერთობა თურქ-სელჩუკებთან. თამარის დიპლომატია არსებითად დაუპირისპირდა დავითისა და გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკურ გეზს. დავითისა და თამარის ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკური კურსის შესახებ საგანგებოდ აქვს მითითებული თამარის ისტორიკოსს ბასილ ეზოსმოძღვარს. მისი სიტყვით, თამარი, წინააღმდეგ დავით აღმაშენებლისა, „არა იღუწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თავისი მამული ძველი კმა ყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა... ბჭედ ჯდა შორს თვისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა".[23]

თამარი არ იერთებდა დაპყრობილ ქვეყნებს. იგი მას ყმადნაფიცობის პირობით ტოვებდა, მფარველობის პრინციპით ახორციელებდა მათ დამოუკიდებლობას. თამარის ამ საგარეო პოლიტიკურ კურსს სავსებით მართებულ შეფასებას აძლევს აკად. ნ. ბერძენიშვილი. „ეს იყო ერთადერთი მისაღები პოლიტიკური კურსი, როგორც მეფისათვის, რო-

---

[21] გალობანი სინანულისანი, საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 513. შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 39.

[22] შოთა მესხია, შოთა რუსთაველის ეპოქა... გვ. 17-18, ნ. ასათიანი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები შ. მესხიას რედაქციით, თბ., 1968, გვ. 7-54.

[23] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ჯავახიშვილის გამოცემა, თბ., 1944. გვ. 36.

მელიც დიდად შეეიწროებული იყო დიდებულთა მხრიდან, ისე დიდებულთათვის, რომელთაც დიდი ჰქონდათ შიში მეფის გაძლიერებისა".[24]

ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი უშუალოდ იყო დაკავშირებული კლასობრივი და შინაკლასობრივი ბძოლების გამოვლინებასთან. დავით აღმაშენებელი უშუალოდ ანგრევდა და ანადგურებდა დიდებულთა სახლებს. ასევე ამხობდა მეზობელ ქვეყნებს და უშუალოდ საქართველოს სამეფოს უერთებდა. ბასიანის ველზე და სხვა ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვება უდიდესი წარმატება იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით.

საინტერესოა რუქნ ად-დინის ელჩის სიტყვები, რომელზეც საშინელი რეაგირება მოახდინა ზაქარია მხარგრძელმა. როდესაც სულთნის ელჩი სიტყვას ამბობდა, „უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა. ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეთქნა ხელითა პირსა და ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა. ვითარ აზიდნეს... ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარია: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმე თავისა... ესე წიგნი მიართვი ნუქარდინს და არქვი: ჩვენ მზა ვართ წყობად და წინამოგებებად".[25]

აშკარაა, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ არ აპატია რუქნ ად-დინის ელჩს ასეთი თავხედური სიტყვა. შემდეგ ისე გაუმასპინძლდნენ მას, როგორც ეკადრებოდა უცხო ქვეყნის დესპანს. საქართველოს სამეფო ხელისუფლების დიპლომატია ამ შემთხვევაშიც ექვემდებარებოდა იმ საგარეო კურსს, რომელსაც ქვეყანა ატარებდა უცხო სახელმწიფოს მიმართ.

თამარის მეფობის პერიოდში უფრო გაფართოვდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ასპარეზი. „ისტორიანი და აზმანის" ავტორს ჩამოთვლილი აქვს ის ერები და ქვეყნები, რომლებიც „სძღუნობდეს და ძმობდეს" თამარის მამას გიორგი III-ს.[26] ქართველი მემატიანის ცნობები, როგორადაც არ უნდა იყოს გაზვიადებული, აშკარად მიუთითებს საქართველოს გარეპოლიტიკურ სამყაროსთან ფართო და შორეულ კავშირ-ურთიერთობაზე. იქ არაერთი ახლო თუ შორეული ქვეყანაა დასახელებული, რომლებსაც საქართველოსთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ. იქ ნათლადაა წარმოდგენილი, თუ როგორი ფართო საერთაშორისო ურთიერთობა ჰქონდა XII ს-ის

---

[24] საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 42.

[25] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 94.

[26] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე... ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369.

ნახევრის საქართველოს აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სამყაროსთან. ეს კავშირ-ურთიერთობა კი უფრო გაიზარდა და სრულყოფილი გახდა თამარის მეფობის პერიოდში.

„ვის უნდა ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხდომნი, მისგან ახმულნი, მზღვარნი, რომელი მას დახუდეს, მას გარეთ მისსა სამეფოსა ორად განფართოებულნი და ამისგან ცნას მეძიებელმან საქმეთამან, მერმე ცნას ერაყამდის, ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარღამდის და თვით იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა არს ქუე-ჯდომით მოქმედისაგან".[27] ასე რომ, თამარის ხანის საქართველო ძალიან გაფართოებული იყო. რაოდენ გაზვიადებულიც არ უნდა იყოს მემატიანის ეს ცნობა, ცხადია, საქართველოს სამეფო ხელისუფლება შიშის ზარს სცემდა მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროს.

XIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის სელჩუკებსა და საქართველოს შორის ახლო პოლიტიკური, ნათესაური და დიპლომატიური ურთიერთობა მყარდება. ლაშა-გიორგის განუდგა განძის ამირა, იგი იძულებული გახდა, დაემორჩილებინა განძის გამგებელი. ლაშა პირდაპირ აღშფოთებულია ამირას საქციელით. „ყოველნი წინააღმდგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი მოხარაჯედ შექმნა და დღეისმომდე მორჩილნი ბრძანებისა ჩემისანი არიან. აწ განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიეს და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა... აღვიმხედროთ განძასა ზედა, რათა სხვათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნეთ". ლაშამ სასწრაფოდ გაილაშქრა განძის ათაბაგის წინააღმდეგ, ათაბაგი „ევედრა, რათა განუჩინონ ხარკი პირველი, რომელიც ისმინა მეფემან და უკუსცა ტყუენი".[28]

მონღოლთა შემოსევების გამო დასავლეთ საქართველოში გადასული რუსუდან დედოფალი შეეცდებოდა, მონღოლები სელჩუკთა წინააღმდეგ წაექეზებინა. იბნ-ბიბი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა სელჩუკთა ლაშქრობა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში, ასევე ფართოდ ჩერდება სელჩუკთა ურთიერთობაზე რუსუდან დედოფალთან, რომლის შესახებ არაფერია ცნობილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში.[29] იბნ-ბიბის მონაცემებს ყურადღება მიაქცია აზერბაიჯანელმა მეცნიერმა ჰ. მუსაევმა.[30]

---

[27] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 124.

[28] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 154.

[29] Anadolu Selçuki Devleti Tarihi. Ibn-Bibi'nin Farsça Muhtasar Selçuknamesinden Türkçeye çeviren M. Nuri Gencosman. Notlar ilave Eden Uzluk. Ankara. 1941.

[30] Х. М. Мусаев, Сочинение Ибн Биби "Аль-авамир аль-аланий фил-умур аль-аланийя, как источник по истории Анатолийских Сельджуков. Автореферат. Баку. 1972.

რუსუდან დედოფალმა როგორც კი გაიგო სელჩუკთა ძალების შემოტევის თაობაზე, მოელაპარაკა თავის წარჩინებულებს, უფრო გონივრულად მიიჩნია მათთვის ზავის შეთავაზება. რუსუდანმა სელჩუკთა მხედართმთავართან, ქემალ ად-დინ ქამიართან მოლაპარაკება გამართა. ქართველი წარჩინებულები მორჩილებასა და პატიებას ითხოვდნენ. რუსუდანის სურვილი იყო ქართული ტერიტორიების დაბრუნება და ნათესაური ურთიერთობით კავშირის განმტკიცება. ჩვენი სურვილია, წერდა დედოფალი სელჩუკ მხედართმთავარს, ჩემი ასული, სელჩუკიანთა და დავითის დინასტიის შთამომავალი, ჩვენი მეზობელი ქვეყნის გამგებლის მემკვიდრეზე – მელიქ ყიას ად-დინ ქეიჰუსრევზე დაქორწინდეს".[31]

იბნ-ბიბი შენიშნავს: „ქემალ ად-დინმა ლაშქარი ქართველთა მხარეს შეუსია, ქართველთა დედოფალმა რუსუდანმა მასთან მოციქულები გაგზავნა და მოლაპარაკება გაუმართა დანათესავებისა და ქორწინების თაობაზე. მალიქ ყიას ად-დინის სიძეობა მოისურვა".[32]

სელჩუკთა მიერ სამხრეთ საქართველოს ციხეების დალაშქვრის შემდეგ რუსუდან დედოფალს გონივრული დიპლომატიური ნაბიჯი დაუდგამს. რუსუდანის მიერ საპასუხო ლაშქრობაზე უარისთქმისა და საქმის მშვიდობიანად მოგვარების გადაწყვეტილება გვაფიქრებინებს, რომ „რუსუდანმა გაითვალისწინა ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში შექმნილი საერთაშორისო ვითარება, ..ამასთანავე გაითვალისწინა ისიც, რომ ამიერკავკასიაში ხვარაზმელთა ძალების არც თუ ისე დიდი ხნის წინ განადგურებისა და დაფანტვის შემდეგ, მონღოლები ამიერკავკასიაში უკვე საშიში ძალა იყო და ელოდნენ მათ შემოსევებსაც".[33]

XIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს აღარ შეეძლო დაპირისპირებოდა მონღოლთა და სელჩუკთა ძლიერ ძალებს. რუსუდან დედოფალმა ყოველივე გაითვალისწინა, მოლაპარაკება გამართა ქემალ ად-დინ ქამიართან. სულთანიც თანახმა იყო, შეეწყვიტა ლაშქრობები სამცხეში და დამოყვრებოდა რუსუდან დედოფალს. ალა ად-დინ ქეიყობადის ცდა, საქართველოში გაბატონებულიყო, მარცხით დამთავრდა. მას დაუპირისპირდა რუსუდან დედოფლის მოქნილი და ღრმა დიპლომატია. სელჩუკი სულთანი იძულებული გახდა, დამოყვრებოდა საქართველოს სამეფო

---

[31] ნოდარ შენგელია, იბნ-ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1975, თბ., №1, გვ. 101-102.

[32] Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure d'apres abrege du Seldjouknameg D'Ibn-Bibi-Leide, 1902, texte persan... გვ. 223.

H. W. Duda, Die Seltschukengeschichte des Ibn Bibi, Kitab al-Avamir al-Alaiya fi'L-Umur al-Ala'iya,Munksgaard, Kopenhagen, 1959. გვ. 210.

[33] ნოდარ შენგელია, იბნ-ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 102.

ხელისუფლებას. მონღოლთა შემოსევებმა ერთიანად დასცა მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება.

ქართველებთან დამოყვრების შემდეგ ქართველთა სამხედრო ძალები სისტემატურად იღებდნენ მონაწილეობას სელჩუკთა მიერ მოწყობილ ყველა ლაშქრობაში. სელჩუკებისა და ქართველების ასეთი ნათესაური ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

უფრო მოგვიანებით მომხდარ შეტაკებაში, რომელიც გაიმართა მონღოლებსა და სელჩუკებს შორის ქოსე დაღთან, ორივე მხარეს ქართველთა მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალები მონაწილეობდნენ. ორივე ლაშქრის ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი იყო. სელჩუკთა მხარეს მონაწილეობდა აფხაზი დარდინ შარვაშის ძე, სელჩუკთა მხარეს აქტიურად იბრძოდა თორელთა საგვარეულოს შთამომავალი — შალვა ახალციხელის შვილი ფარადავლა.[34]

ყამთააღმწერელი ჩამოთვლის ყველა იმ მთავარს, ვინც მონღოლებს მიუვიდნენ. იგი აღნიშნავს: „ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის" რუსუდან დედოფლის თანხმობით, „ივანე ციხისჯვარელმან ჯაყელმან, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდებოდა, უკეთუ სთნდეს, რათა იხსნას ქუეყანა სამცხისა ოხრებისაგან, და იგიცა მიენდოს ჩაღატას, რამეთუ პატივითა იყო მეჭურჭლეთუხუცესი და მთავარი ქვეყნისა სამცხისა".[35]

როდესაც მთელი აღმოსავლეთი საქართველო მონღოლთა ხელში გადავიდა, რუსუდან დედოფალი იძულებული გახდა, თავისი შვილი დავითი მონღოლებისათვის გაეგზავნა. ამით ქვეყანა ეხსნა რბევისაგან.

ქართველთა პოლიტიკა — ორივე მხარისათვის მიეშველებინათ თავიანთი შეიარაღებული ძალები — სავსებით გამართლებული იყო. ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ არ გაემწვავებინათ ურთიერთობა მომხდურ ურდოებთან. ქოსე დაღის ბრძოლის შედეგები მძიმე აღმოჩნდა სელჩუკებისათვის: ქოსე დაღთან სელჩუკების დამარცხებით საბოლოოდ ჩაესვენა სელჩუკთა ძლიერება. ქართველი პოლიტიკოსები ამ შემთხვევაშიც მოქნილ დიპლომატიას მიმართავდნენ. მოქმედებდნენ იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარიმართებოდა მოვლენები. თანდათანობით იწყება ანარქიის პროცესი სელჩუკთა სახელმწიფოში.

XIII საუკუნის მეორე ნახევარი მეტად მნიშვნელოვანი ეპოქაა მთელი მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისათვის. მონღოლთა ბატონობის შედეგი იყო ალბათ მიზეზი იმისა, რომ მცირე აზიის სელჩუკებსა და საქართველოს, უკვე დიდი ხნის მეზობლებს ერთ-

---

[34] ნოდარ შენგელია, ქოსე დაღის ბრძოლა, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.

[35] ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 191.

მანეთთან კავშირ-ურთიერთობისათვის ნაკლებად ეცალათ, ორივეს თავიანთი გასაჭირი ადგათ მონღოლთა მძიმე ბატონობის სახით. მაგრამ ამ ძნელბედობის ხანაშიც გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობა არსებობდა საქართველოსა და მცირე აზიის სელჩუკებს შორის, მათი კავშირ-ურთიერთობის განმსაზღვრელად ამჯერად მონღოლები გამოდიოდნენ.

XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მონღოლთა მიერ მოწყობილ მრავალ სამხედრო ექსპედიციაში სელჩუკებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ. წყაროების მონაცემებით, 1277 წელს ეგვიპტის სულთნის მიერ მცირე აზიაში მოწყობილი ლაშქრობის დროს სელჩუკებთან ერთად იბრძოდა 3000-იანი ქართველთა ლაშქარიც. ქართველთა ლაშქრის სელჩუკთა მხარეზე გამოსვლა ნაკარნახევი იყო მონღოლთა ნებით. ქართველები ამ ბრძოლაში მონაწილეობით ერთგვარ სამხედრო ვალდებულებას იხდიდნენ მათ წინაშე.[36]

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს უპირველესი მოხელე და მონღოლთა წარმომადგენელი — მუინ ად-დინ ფერვანე ამ ღალატის გამო მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს და მთელი ქონება და მამულები ჩამოართვეს, მათ შორის ცოლისაგან სამზითვოდ მიღებული მამული — აწყური.

აწყური თავის დროზე სამცხის ათაბაგებს ეკუთვნოდა, მაგრამ საქართველოს მეფის რუსუდან დედოფლის (1223-1246) ქალიშვილს თამარს, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა გურჯი ხათუნის სახელით, როდესაც მისთხოვდა მცირე აზიის სელჩუკ სულთანს — ყიას ად-დინ ქეიხუსრევს (1236-1246), მზითვად ებოძა იგი. ყიას ად-დინ ქეიხუსრევის გარდაცვალების შემდეგ, გურჯი ხათუნი ცოლად გაჰყვა მუინ ად-დინ ფერვანეს, რომელსაც ასევე გადაეცა ცოლისგან აწყური. მონღოლებმა კი მუინ ად-დინ ფერვანეს მთელი ქონება ჩამოართვეს,[37] მათ შორის აწყურიც და სამცხის ათაბაგებს უბოძეს. ჩანს, მონღოლებმა ეს მოწყალება გაიღეს იმ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ, რომელიც სამცხის ათაბაგებმა მონღოლებს გაუწიეს ამ ლაშქრობის დროს. თუ აქამდე აწყური სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ეკუთვნოდა ქვეყნის უდიდეს და უპირველეს მოხელეს, მონღოლთა ნებასურვილით, ამიერიდან იგი გადაეცა სამცხის ათაბაგებს და ძალაუნებურად მოექცა ქართული სახელმწიფოს ფარგლებში.

---

[36] Gregory Abul Farac (Bar Hebraeus), Abul Farac Tarihi, cilt II. Süryancadan Ingilizceye çeviren Ernesta. Wallis Budge, Türkçeye çeviren Ömer Riza Dogrul, Ankara, 1950. გვ. 599.

[37] ქამთააღმწერელი, II, ქართლის ცხოვრება, თბ., 1959, გვ. 270-271.

წყაროების მონაცემებით, 1282 წელს, მონღოლთა მიერ დამასკოსა და ეგვიპტეში მოწყობილი ლაშქრობის დროს 50.000-იან ლაშქარში მცირე აზიისა და სხვა პროვინციების ჯარებთან ერთად 5.000-მდე ქართველი იღებდა მონაწილეობას. ამ ლაშქრობის დროს სასტიკად განადგურდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო.[38]

XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისათვის მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. იგი ფაქტობრივად დაშლილი იყო ცალკეულ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად. განსაკუთრებით თავისუფლად და განუკითხავად მოქმედებდნენ მომთაბარე თურქმანთა ძალები, რომლებიც სისტემატურად იცვლიდნენ ადგილს მთელს მცირე აზიაში. სწორედ ამ პერიოდში გაძლიერდა თურქმანთა შემოსევები სამხრეთ საქართველოში. თურქმანთა 60.000-იანი ტალღა ვინმე აზატ მოსეს მეთაურობით სამხრეთ საქართველოში შემოიჭრა და მთელი მხარე გაანადგურა.[39]

ყამთააღმწერლის თხზულებაში გადმოცემულია ჩამოსახლებულ თურქმანებთან ბექას ლაშქრის ბრძოლის ეპიზოდები. ბექამ თავისი ჭკვიანური სამხედრო გეგმის წყალობით შეძლო თურქმანთა განდევნა სამცხიდან, დაედევნა მათ და დიდძალი ნადავლიც კი ჩაიგდო ხელთ.

მცირე აზიის თურქმანთა მომთაბარე ძალების შემოჭრა სამხრეთ საქართველოში და მათ მიერ ტერიტორიათა მთელი რიგის მოოხრება, შეიძლება ითქვას, პირველი შემთხვევა იყო „დიდი თურქობის" შემდეგ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, „დიდი თურქობისაგან" იმით განსხვავდებოდა, რომ მხოლოდ სამხრეთ რაიონებში მოახერხეს მათ მცირე ხნით შემოჭრა და დამარცხებულნი უკუიქცნენ. მაგრამ თურქმანთა თარეში დასაწყისი იყო იმ დიდი და განუწყვეტელი შემოსევებისა, რომელსაც შემდგომში საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა ადგილი. თურქმანთა ამ შემოჭრით იწყებოდა ოსმალთა გაუთავებელი, სისტემატური თავდასხმები სამხრეთ საქართველოში, რომლის შედეგებიც საბედისწერო აღმოჩნდა მესხეთისათვის.

ამრიგად, სელჩუკებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა მთელი XI-XIII საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი საშინაო და საერთაშორისო ვითარება იყო მთელს მახლობლად აღმოსავლეთში, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელიც საქართველოში იყო. საქართ-

---

[38] იქვე, გვ. 279-280. Osman Turan, Selçuklular Zamaninda Türkiye... გვ. 575.

[39] ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 310-313. მერი შადური, ცნობები თურქული ტომებისა და ხალხების შესახებ ყამთააღმწერლის თხზულებაში. ჯევანმარდი, I, თბ., 1976, გვ. 38.

ველოს სამეფო ხელისუფლებას ისეთი დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა გარე პოლიტიკურ სამყაროსთან, როგორი საშინაო და საგარეო ვითარება იყო ქვეყანაში. სულ სხვა ურთიერთობა არსებობდა სელჩუკებთან XI საუკუნის II ნახევარში, ვიდრე XII საუკუნეში, სხვა იყო დავით აღმაშენებლის საგარეო დიპლომატიური ურთიერთობა, მისი დიპლომატიისაგან ძირფესვიანად განსხვავდებოდა თამარის საგარეო დიპლომატიური კურსი. მას, რასაც თამარი აკეთებდა, ველარ ასრულებდნენ თამარის მომდევნო ხანის მეფეები, ძირფესვიანად განსხვავდებოდა ასევე თამარის საგარეო პოლიტიკისაგან თამარის მემკვიდრეთა დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობანი. სრულიად სხვა იყო XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს სამეფო ხელისუფლების დიპლომატიური ნაბიჯები წინარე ხანის ქართველ მეფეთა დიპლომატიასთან შედარებით. ამ პერიოდში ქართველი მეფეები სელჩუკთა და მონღოლთა ნების აღმსრულებელნი იყვნენ. ისინი, ამ უკანასკნელთა დაძახებისთანავე, მზად იყვნენ მათ სამსახურში ჩამდგარიყვნენ. საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ფაქტობრივად აღარ გააჩნდა თავისი დიპლომატიური გზები. ქართველი მეფე-მთავრები მათი მოწოდებისთანავე მზად იყვნენ, სელჩუკთა ან, უპირატესად, მონღოლთა მხარეზე ყოფილიყვნენ.

N. SHENGELIA

DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN THE SELJUKS AND GEORGIA IN THE 11TH-13TH CENTURIES

Summary

Seljuk-Georgian relations have a history of three centuries. Before the Seljuk invasions Georgia had to fight against the co-religionist Byzantium. The Georgian always waged a life-and-death struggle against Seljuk aggression. From the 1050s up to the disappearance of the Seljuk political entities, Georgia had to carry of relentless struggle towards neutralising various political confederations of the Seljuks.

The defeat of Byzantium at Manaskert had a highly negative impact on Georgia and Transcaucasia: as a result Georgia had now nomad Seljuk, tribes as neigbours. The Seljuks opposed the georgian highly-developed intensdive feudal economy. The neighbourhood with Turks led

to frequent attacks on Georgia, causing the shrinkage of Georgian feudal economy and hampering its development.

Throughout the 11th-13th centuries Seljuk-Georgian diplomatic relations varied, depending on the internal and international situation in the entire Near East. The situation in Georgia must also be taken into consideration. Georgia's royal government's diplomatic relations with the outer world reflected the country's internal and external situation.